



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სსიპ „ციფრული მმართველობის სააგენტოს“ თავმჯდომარის
ბრძანება



KA012110770901521

№5/ს

12 / თებერვალი / 2021 წ.

კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალების
აღიარების შესახებ

განმცხადებელი: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (შემდგომში - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, განმცხადებელი).

მოთხოვნა: კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალების (დეტალები: დასახელება - Thales Luna Network HSM S790, სერიული ნომერი: 634628 და 633985, Firmware: 7.7.0, Hardware: 808-000073-001) აღიარება.

აღწერილობითი ნაწილი

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 2021 წლის 29 იანვარს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ციფრული მმართველობის სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) მომართა № 01/15803 წერილით, კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალების (დასახელება - Thales Luna Network HSM S790, სერიული ნომერი: 634628 და 633985, Firmware: 7.7.0, Hardware: 808-000073-001) აღიარების შესახებ. წერილს თან ერთვის შემდეგი დოკუმენტები:

1. „კრიპტოგრაფიული მოდულების დაცვის პროფილი“ CEN/TC 224, 2016 წლის 29 ნოემბერი (v0.15) („CEN/TC 224 Secretariat: AFNOR Protection profiles for TSP Cryptographic modules - Part 5 Cryptographic Module for Trust Services“) (75 გვერდი)
2. სერტიფიკატის ამონაწერი: „Certificate Report Version 1.0“, 2020 წლის 20 ნოემბერი, „CSA_CC_19003 For Thales Luna K7 Cryptographic Module From Thales“ (24 გვერდი)
3. ინფორმაცია ტექნიკური საშუალების შესახებ („Thales Luna Network HSM“) (3 გვერდი)

2021 წლის 12 თებერვლის № 01/25704 წერილით, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ დაბუსტდა კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალების მონაცემები და მიეთითა, რომ მოდელის დასახელებაა: „Thales Luna k7“.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ შესყიდული კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალება სერტიფიცირებულია „ელექტრონული იდენტიფიკაციის, შიდა ბაზარზე ელექტრონულ ტრანზაქციებთან დაკავშირებული სანდო მომსახურებებისა და 1999/93/EC დირექტივის გაუქმების შესახებ“ ევროკავშირის რეგულაციისა და საბჭოს 2014 წლის 23 ივლისის № 910/2014 რეგულაციის (შემდგომში - ევროკავშირის რეგულაცია) 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ევროკავშირის მიერ აღიარებული ნიდერლანდების სამეფოს მასერტიფიცირებელი ორგანოს - „TUV Rheinland“-ის მიერ (<https://www.tuv-nederland.nl/>). „TUV Rheinland“-ის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებულია ევროკავშირის მიერ ოფიციალურ ვებგვერდზე „EU CABs“-ის სიაში (https://ec.europa.eu/growth/tools-databases/nando/index.cfm?fuseaction=mra.list&cou_id=840).

როგორც წარმოდგენილ ინფორმაციაში აღნიშნულია, განმცხადებლის მიერ შესყიდული კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალებას გააჩნია ნიდერლანდების სამეფოს მასერტიფიცირებელი ორგანოს მიერ გაცემული შემდეგი სერტიფიკატები:

ა) ISO/IEC 15408 (Information technology - Security techniques - Evaluation criteria for IT security) სტანდარტის მიხედვით გაცემული შესაბამისობის სერტიფიკატი;

ბ) ევროკავშირის რეგულაციასთან შესაბამისობის შესახებ სერტიფიკატი.

განმცხადებლის მითითებით, ორივე სერტიფიკატი გამოქვეყნებულია „TUV Rheinland“-ის - უფლებამოსილი მასერტიფიცირებელი ორგანოს ვებგვერდზე (<https://www.tuv-nederland.nl/common-criteria/certificates.html>), ასევე, მონყობილობის მწარმოებლის - კომპანია „Thales“-ის ვებგვერდზე (<https://cpl.thalesgroup.com/blog/encryption/luna-hsm-7-certified-for2/12/2021>). ISO/IEC 15408 სტანდარტთან შესაბამისობის (Common Criteria) სერტიფიკატი, ასევე, გამოქვეყნებულია Common Criteria-ის ოფიციალურ ვებგვერდზე (<https://www.commoncriteriaportal.org/products/>). „TUV Rheinland“-ის შესახებ ინფორმაცია (ვებგვერდის ჩათვლით), ასევე, გამოქვეყნებულია ევროკავშირის სიაში, რომელიც მიმართულია ევროკავშირის რეგულაციის 30-ე მე-2 პუნქტის, 39-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 31-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 39-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 51-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა შესასრულებლად (<https://ec.europa.eu/futurium/en/system/files/ged/eidas-art.31-list-2020-12-14.pdf>).

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 11 მარტს მსოფლიოში გამოცხადებული პანდემიის გათვალისწინებით, განმცხადებელი მიუთითებს „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტზე, რომლის შესაბამისად, „საჯარო დაწესებულებებს, ფიზიკურ პირებს და იურიდიულ პირებს მიენიჭოთ უფლებამოსილება, გამოიყენონ „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონისგან განსხვავებული პირობების შესაბამისად შესრულებული ელექტრონული დოკუმენტი ან/და ელექტრონული ხელმოწერა“. ამდენად, განმცხადებლის მიერ 2 სერტიფიკატი წარმოდგენილია ელექტრონულად.

„კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლისთვის სავალდებულო ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 ივნისის N343 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის (შემდგომ - ტექნიკური რეგლამენტი) მე-10 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ წარმოდგენილი იქნა ყველა საჭირო დოკუმენტი, რაც აუცილებელია კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალების აღიარების შესახებ განაცხადის განხილვისათვის.

სამოტივაციო ნაწილი

სააგენტომ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინფორმაციის საფუძველზე იმსჯელა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ წარმოდგენილი კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალების აღიარების თაობაზე.

ტექნიკური რეგლამენტის მე-10 მუხლი ადგენს უცხოეთში აღიარებული კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალებათა საქართველოში აღიარების პირობებს. ამავე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამგვარი საშუალების აღიარებისთვის, პირველ რიგში, აუცილებელია, რომ ეს საშუალება, ევროკავშირის რეგულაციის მიხედვით მიჩნეულ იყოს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალებად.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ტექნიკური საშუალება - Thales Luna K7 - სერტიფიცირებულია ევროკავშირის აღნიშნული რეგულაციის მოთხოვნათა შესაბამისად, კერძოდ, სერტიფიკატი გაცემულია ევროკავშირის მიერ აღიარებული ნიდერლანდების სამეფოს მასერტიფიცირებელი ორგანოს - „TUV Rheinland“-ის მიერ; ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, შეყვანილია ევროკომისიის მიერ, ელექტრონული ფორმატით წარმოდგენილ, შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების (List of conformity assessment bodies) სიაში: https://ec.europa.eu/growth/tools-databases/nando/index.cfm?fuseaction=mra.list&cou_id=840, ამდენად დაკმაყოფილებულია ევროკავშირის რეგულაციის 29-ე და 30-ე მუხლების მოთხოვნები, რომლებიც სავალდებულოდ მიიჩნევენ რეგულაციის პირობების გათვალისწინებით მონყობილობათა სერტიფიცირებას.

რეგლამენტის მე-10 მუხლის მიხედვით, აღიარებისათვის დამატებით საჭიროა კიდევ ორი პირობის დაკმაყოფილება. კერძოდ:

ა) მონყობილობის უსაფრთხოება შემოწმებული უნდა იყოს ISO/IEC 15408 (Information technology - Security techniques - Evaluation criteria for IT security) სტანდარტის მიხედვით ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ, რაზეც გაცემული იქნება შესაბამისი სერტიფიკატი;

ბ) მითითებული სერტიფიკატი მოქმედი უნდა იყოს და მისი გაცემიდან არ უნდა იყოს გასული 5 წელზე მეტი;

როგორც განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის გადამოწმების შედეგად ირკვევა, კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალებას გააჩნია ნიდერლანდების სამეფოს მასერტიფიცირებელი ორგანოს მიერ გაცემული სერტიფიკატი - ISO/IEC 15408 (Information technology - Security techniques - Evaluation criteria for IT security) და მისი გაცემიდან არ არის გასული 5 წელზე მეტი. უფრო

კონკრეტულად, ISO/IEC 15408 სტანდარტთან შესაბამისობის (Common Criteria) სერტიფიკატი, Common Criteria-ის ოფიციალურ ვებგვერდზე (<https://www.commoncriteriaportal.org/products/>) ხელმისაწვდომი ინფორმაციის თანახმად, გაცემულია 2020 წლის 6 ოქტომბერს.

გემოლნიშნულის გათვალისწინებით, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ი“ პუნქტის, მე-11 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ციფრული მმართველობის სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, „კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლისთვის სავალდებულო ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 ივნისის N343 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სააგენტომ გადაწყვიტა:

1. კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალება (დასახელება - Thales Luna Network HSM S790, სერიული ნომერი: 634628 და 633985, Firmware: 7.7.0, Hardware: 808-000073-001) აღიარებულ იქნეს საქართველოში;


2. დასრულდეს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2021 წლის 29 იანვრის №01/15803 განაცხადის განხილვა. აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებისთანავე ეცნობოს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და ძალაში შევიდეს 2021 წლის 12 თებერვალს;

3. კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალების აღიარების შესახებ ინფორმაცია 2021 წლის 15 თებერვალს შეტანილ იქნას კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლებისა და მათ მიერ შეთავაზებულ მომსახურებათა სიაში;

4. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალების (დასახელება - Thales Luna Network HSM S790, სერიული ნომერი: 634628 და 633985, Firmware: 7.7.0, Hardware: 808-000073-001) გამოყენების უფლებამოსილება მიენიჭოს კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლებისა და მათ მიერ შეთავაზებულ მომსახურებათა სიაში შესაბამისი ინფორმაციის შეტანის მომენტიდან;

5. გადაწყვეტილება შესაძლოა გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით, განმცხადებლისთვის გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამბადასმულია
ელექტრონულად 

გიორგი მეულუმიანი